პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 165 (4675)

1972 წ. 23 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „მოსკვიჩ-412"-ის სამი რეკორდი

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ლესოვსკიმ და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. შევჩენკომ სერიული მანქანა „მოსკვიჩ-412"-ით ავტოსპორტში სამი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. მოსკოვის ოლქის ქალაქ დმიტროვის მახლობელ ავტოპოლიგონზე მიღწეულია სარეკორდო სიჩქარე 500 კილომეტრზე 173,18 კმ საათში (1500 კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანებისთვის), 1000 კილომეტრზე — 174,23 კმ საათში და ექვსსაათიან რბოლაში — 174,32 კმ საათში (200 კბ სმ-მდე).

სარეკორდო სერიებს, როგორც ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ა. გლადილინი ამბობს, მარტო სპორტული მნიშვნელობა როდი აქვს. ფაქტიურად ესაა ავტომანქანის ფორსირებული შემოწმება, მისი დინამიკური თვისებების, კვანძებისა და ცალკეული დეტალების გამოცდა. რეკორდები დამყარდა სტანდარტული მანქანით, რომელიც საგანგებოდ იყო მომზადებული ასეთი შეჯიბრებისთვის.

თავად ნ. შევჩენკოს მიაჩნია, რომ დღევანდელი სისწრაფე მანქანისთვის ზღვარი არ არის. (საქინფორმი).

## რაიონებში სპორტიონი

### ამბროლაური

18 გუნდის მონაწილეობით ორ კვირაზე მეტს გასტანა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასის გათამაშებამ ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ხიდიკარისა და საღმელის გუნდები. საინტერესო შეხვედრა ხიდიკარის გუნდმა მოიგო — 2:1. შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული იყო სპეციალური პრიზები, რომლებიც გადაეცა მეკარე ლ. ჭელიძეს (ძირაგეული), ცენტრალურ მცველს რ. ვაწაძეს (ხიდიკარი), ნახევარმცველ ზ. დონაძეს (ხიდიკარი) და თავდამსხმელ ა. დარახველიძეს (საღმელი).

• • •

სოფ. ძირაგეულში გაიმართა ადგილობრივ ფეხბურთელთა კოლექტივის შეხვედრა თანასოფლელ ვეტერანებთან. გაიმარჯვეს ვეტერანებმა.

ზ. ჯაფარიძე.

## სპორტული ქუთაისი

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ქუთაისელმა სპორტსმენებმა.

ქალაქის ცენტრალურ და „დინამოს" სტადიონებზე მიმდინარეობდა მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება, რომლის სტარტებზეც 200-მდე ფიზკულტურელი გამოვიდა.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო წარმოებისა და საავტომობილო ქარხნის ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა ფეიქართა გამარჯვებით დამთავრდა (5:1), დინამოელებმა კი ანგარიშით 3:1 მოუგეს აეროპორტის კოლექტივს.

ამას გარდა, მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები წყალში ხტომაში, გაიმართა მატჩი რეგბიში ქალაქის ნაკრებ გუნდსა და „ლოკომოტივს" შორის.

• • •

დამთავრდა „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა სპორტის 15 სახეობა.

I ჯგუფში გაიმარჯვა საავტომობილო ქარხნის სპორტულმა კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათავო წარმოებისა და ელექტრომექანიკური ქარხნის წარმომადგენლები.

II ჯგუფში წარმატება წილად ხვდა № 2 საწარმოო გაერთიანების მე-8 სამკერვალო ფაბრიკის გუნდს. პირველ სამეულში მომდევნო ადგილებზე არიან ბამბეულის ხალხოვრი ფაბრიკისა და სატრაქტორო ქარხნის წარმომადგენლები.

შ. ნიჟარაძე. (ჩვენი კორ.).

## საქინფორმი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### დნესტრზე ტივებით

ლვოვის ფირმა „ლუჩის" № 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკის ახალგაზრდა ნუშებისა და ინჟინრების ჯგუფმა შვებულება გასაძერი ტივებით დნესტრზე ცურვაში გაატარა.

სტარტი მოლაშქრეებმა ქალაქ გალიჩში აიღეს, ხოლო ლაშქრობა ნოვილივეპოლოლსკში დაასრულეს. მოგზაურობამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დნესტრი თვალწარმტაც ადგილებში მიედინება. ბევრი საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ მოლაშქრეებს მდინარისპირა ქალაქებისა და დაბების მცხოვრებლებთან.

გაისად ლვოველები უფრო გრძელი ლაშქრობის მოწყობას აპირებენ.

ვ. აფანასიევი.

ლვოვი.

### ჩემპიონები... „რიტინისში"

პლუნგეს ხელოვნური ტყავის ქარხნის გუნდმა წლეულს ზედიზედ მეორედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა სპორტულ თამაშში „რიტინისში". ჩემპიონატი სპორტის ამ ეროვნულ სახეობაში მეათედ ჩატარდა.

„რიტინისი" მრგვალი რეზინის ძელაკია, რომელსაც ხის ტაფელებით „აგორებენ". ჯერ კიდევ ამ რამდენიმე საუკუნის წინ სოფელი სოფელს ხვდებოდა და ეჯიბრებოდა ამ თამაშში. მიზანი ასეთი იყო: რეზინის ძელაკი მეტოქის კარში კი არ უნდა გაეტანათ, არამედ... სოფელში. ახლა „რიტინისი" საფეხბურთო მინდვრის ფარგლებშია მოქცეული. თითოეულ გუნდში შვიდი კაცი თამაშობს.

საბჭოთა ლიტვაში აღორძინებული ძველი ეროვნული თამაში განსაკუთრებით პოპულარულია სოფლის ახალგაზრდობას შორის.

პლუნგე, ლიტვის სსრ.



მოსკოვი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა სახალხო მოხმარების საგნებისა და მოსახლეობის სწრაფად მომსახურების მოწინავე მეთოდების საკავშირო დათვალიერება. გამოფენაზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გამოგზავნა მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების 20 ათასზე მეტი ნიმუში.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი განყოფილება. ტურისტის კუთხე.

ა. კონკოვის ფოტო (საქინფორმი).



# „ცისფერი ჰორიზონტის" სარბიელზე

ქობულეთში, ზღვის პირას, ტანკენარი ფიჭვების სამოსელში გახვეული პიონერთა ბანაკი, რომელსაც „ცისფერი ჰორიზონტი" ჰქვია: აქ, საქართველოს ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკში (ბანაკის უფროსი ლ. კვაჭანტირაძე), 270 მოსწავლე ისვენებს, ატარებს ხალისიან პიონერულ ზაფხულს. სამივე ნაკადში 850-მდე ალისფერყელსახვევიანი გოგონა და ბიჭი გაიკაჟებს სხეულს — რუსთაველ ქიმიკოსთა, ბათუმელ მენავთობეთა, ქუთაისელ მელითოფონეთა, გაზის მრეწველობის მუშაკთა შვილები.

საბანაკო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას (ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ი. მაქსიმენკო). ხშირად ეწყობა სამატჩო შეხვედრები მეზობელი ბანაკების ბავშვებთან, ლაშქრობები. პიონერებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ლაშქრობამ ციხისძირში, პეტრას ციხის მიდამოებში.

საინტერესოდ ჩატარდა საბანაკო სპარტაკიადა შვიდ სახეობაში. სარბიელზე 200-ზე მეტი ბავშვი გამოვიდა.

საერთო ჯგუფურ I ადგილზე გავიდა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა № 1 რაზმი „რიტმი". II ადგილზე არიან მეორერაზმელები („მუშკეტერები"), ხოლო III — მესამერაზმელი პიონერები („ახალგაზრდობა").

ცალკეულ სახეობებში თავი ისახელეს მოჭადრაკეებმა ნ. დოლიძემ და ს. აფციაურმა, მოშამეებმა ს. ზიუკოვამ და ს. ალდგომელიშვილმა, მძლეოსნებმა გ. მათითაიშვილმა, ვ. შკურაევმა და გ. ქართველიშვილმა. პიონერები დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით. მშდ კომპლექსის ნორმატივები 160 ნორჩმა ჩააბარა.

ლ. ტრაპაიძე. (ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

• • •

სურათებზე: თამაშობენ 1-ლი და მე-2 რაზმების კალათბურთელი ბიჭები; ფრენბურთელ გოგონათა შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტოები.



# მიზანი: სოციალისტური შეჯიბრება

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივმა საბჭომ ფიზკულტურასა და სპორტში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საბჭოთა ქვეყანაში, თავისი მოღვაწეობის მანძილზე საკმაო გამოცდილება დააგროვა მასობრივ შეჯიბრებათა ჩატარების, მშდ ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა მომზადების დარგში. ამას გარდა, აქ სისტემატურად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, შეკრებებს, სემინარებს...

ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭომ რამდენიმე წლის წინ ვრცლად დანერგა ქართველ ფეიქართა გამოცდილება და ახლა საბჭოთა ქვეყნის ბევრ კუთხეში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ დარგობრივი საბჭოები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩნენ თავი ბრიანსკის, ლენინგრადისა და ივანოვოს საბჭოებმა.

სულ ახლახან გამოცდილების გაზიარების მიზნით მოძმე რესპუბლიკის კოლეგებთან გაემგზავრნენ საქართველოს წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სპორტკლუბ „ფეიქრის" უფროსი ინსტრუქტორი გ. დვალი, მეთოდისტები და ინსტრუქტორები რ. ზარაძე, ვ. ასანიძე, მ. სალდაძე, ი. მინენკოვი და სხვ.

ბრიანსკის ოლქში საუკეთესოდ აქვთ დაყენებული საწარმოო ტანვარჯიშის საქმე, ივანოვოელები გამოირჩევიან ქალთა სპარტაკიადების სამაგალითოდ ჩატარებით. ლენინგრადში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურიზმი, აგრეთვე თევზაობა, ნადირობა და სხვ. ამიტომ საქართველოს დელეგაციის სტუმრობამ ნაყოფიერი შედეგი უნდა მოგვიტანოს.

მგზავრობის მთავარი მიზანია სოციალისტურ შეჯიბრებათა ხელშეკრულებების დადება, რომლებიც ითვალისწინებენ მასობრიობის, ოსტატობის ამაღლებას, მუშაობის გაუმჯობესებას მშდ კომპლექსის დარგში, მშრომელთა აქტიური დასვენების ფორმების სრულყოფას და ა. შ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მომავალში განზრახულია ფეიქარ ქალთა საკავშირო სპარტაკიადების ჩატარება, ამ სოციალისტურ შეჯიბრებათა პუნქტების განხორციელებამ ფიზკულტურელებს დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს.

ბ. კოვალიოვი.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნამდე დარჩა 3 დღე

# ეჟი პავლოვსკის ოქროს ხმალი

**მათი კურსი — ოლიმპიადა**

„ფარიკაობა ისეთი ხელოვნებაა, სადაც დარტყმა ისე უნდა მიაყენო, რომ თავად შეუვალი დარჩე. ხმლის წვერით მეტოქის მკერდზე შეხების აუცილებლობა, საკუთარი თავის დაცვა ფარიკაობას ერთობ რთულ და მძიმე დარგად აქცევს, რამეთუ მახვილ თვალს, გამჭრიახ გონებას, რკინისებურ ხელს ფარიკაობაში ემატება სიზუსტე და სისწრაფე. ყოველივე ეს იარაღს თავისებურ სიცოცხლეს ანიჭებს".

მოლიერი.

ეჟი პავლოვსკის დარი მოფარიკავე არ ახსოვს სპორტის ამ უძველეს და ულამაზეს სახეობას. შეგიძლიათ მისი გვარის გასწვრივ დაწეროთ ნებისმიერი სახოტბო ეპითეტი და გარწმუნებთ, არც ერთხელ არ შეცდებით.

ძველ საბერძნეთში მას ღვთაებრივ გმირად შერაცხავდნენ, მას უმღერებდნენ ლირის უებრო ოსტატები, მოქანდაკეები უდიდესი სპორტსმენის ძეგლებით დაამშვენებდნენ სტადიონებსა და მოედნებს.

ჩვენი ეპოქა მოფარიკავეთა მიმართ ერთობ თავშეკავებული და, თუ შეიძლება ითქვას, გულგრილიც კია. ჩემი მდიდარი და მრავალფეროვანი არსენალი. დიახ, დაკარგა ის ტრაგიკული მომენტი, რომელიც მცირერიცხოვან დამსწრეთა და სეირის მაყურებელთა თითქმის ისტერიულ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. სამაგიეროდ, შეიძინა აურაცხელი მრყვარული, თაყვანისმცემელი და მიმდევარი. პარადოქსია? სრულიადაც არა.

ფარიკაობას, ისევე როგორც საზოგადოდ სპორტს, მხოლოდ დიდი სპორტსმენები უქმნიან ავტორიტეტს. პავლოვსკის სამშობლოში ამ ლეგენდარული მოფარიკავის ნებისმიერი გამოსვლა უდიდეს ინტერესს იწვევს. მაყურებელი ღებულობს ისეთივე სიამოვნებას, როგორსაც ოისტრახის კონცერტებზე, პიკასოს გამოფენაზე, პელეს ყურებისას. დიახ, ლეგენდარულმა ეჟიმ შეძლო ფარიკაობა აეყვანა უმაღლესი ხელოვნების დონემდე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მას ხვდებიან უდიდესი აღტაცებით, მას იწვევენ ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატები და ოლიმპიური თამაშები უკვე ოც წელზე მეტია წარმოუდგენელია ამ ჯადოქრის გარეშე.

იქნებ ზოგიერთ მკითხველს დითირამბები პავლოვსკის მიმართ გაზვიადებულად მოეჩვენოს. ამიტომ მოდით, გადავხედოთ მისი ყველაზე დიდი გამარჯვებების ნუსხას. აქ გათვალისწინებული არ არის უთვალავი საერთაშორისო ტურნირი, სადაც პავლოვსკის გაუმარჯვნია, მაგრამ ეს „სტატისტიკაც", რომელსაც ახლა გთავაზობთ, თავისთავად მრავლისმეტყველია.

მაშ ასე, ეჟი პავლოვსკი. 43 წლის მოფარიკავე, პოლონელი, იურისპრუდენციის მაგისტრი, ექვსი უცხო ენის მცოდნე, ძალიან განათლებული ადამიანი, იუმორის გრძნობით უხვად დაჯი-

1949 წლის თებერვალს მე პირველად ვნახე ნამდვილი ფარიკაობა. თითქოს უაზროდ დახტოდნენ, ერთმანეთს გრძელი დაშნებით ემუქრებოდნენ, დარბაზის კუთხეში კი იდგა ერთი ახოვანი მამაკაცი. დროდადრო ისმოდა მისი ძახილი: „ყოჩაღ, კარგია!"

მე შორიახლო ვიდექი, ვცდილობდი ეს უცნაური სანახაობა რაც შეიძლება კარგად დამენახა. ვფიქრობდი, ასეთი ხტუნაობა და დაშნების უმისამართო ტრიალი ბავშვსაც შეუძლია, მეც არ ვიქნებოდი მათზე ნაკლები-მეთქი. ვინ იცის, ჩემი პირველი ნაცნობობა ფარიკაობასთან იქნებ ასეც დამთავრებულიყო, ერთი გარემოება რომ არა. ეტყობა ფარიკაობამ ძალიან დამაინტერესა და ეს დაინტერესება სახეზეც გამომეხატა, რადგან უცებ მომიახლოვდა საფარიკაო გულსაფარსა და მოკლე შარვალში გამოწყობილი მიმზიდველი ქალი. იგი, როგორც შემდეგ შევიტყვე, პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონი ირენა ნავროცკა აღმოჩნდა. ჰოდა, ირენამ მოულოდნელად მკითხა: თქვენ აქ რამ მოგიყვანათ? (მართალი გითხრათ, „თქვენო", რომ მითხრა, მუხლები მომეკვეთა: რა გალანტური სპორტი ყოფილა!). ფარიკაობას ხომ არ გნებავთ გაჰყვეთ?

... და აი, ფარიკაობის დარბაზში ვარ. ჭაბუკი და მოწიფული მოფარიკავეები ერთმანეთის მიყოლებით დგანან და რიგრიგობით უახლოვდებიან იმ ახოვან, ჭაღარა კაცს, რომელიც დარბაზში პირველად მისვლისას ვნახე. ჩემი რიგი რომ მოვიდა, პირი დავაღე და აქეთ-იქით უაზროდ ყურება დავიწყე. არ ვიცოდი, რა მექნა. ერთი პირობა გაქცევაც კი ვცადე.

ამ დროს მომიახლოვდა პანი ირენა და რაპირა გამომიწოდა.

— მოგვყევით და ჩვენი მოძრაობანი გაიმეორეთ.

მეტი რა გზა მქონდა, გავყევი დანარჩენებს. იანოშ კევეი — აი, ვინ იყო ის ძლიერი, ჭაღარა კაცი, რომელიც ფარიკაობას გვასწავლიდა.

საფარიკაო ილეთები ერთობ რთულად მომეჩვენა. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო: ღმერთო ჩემო, როგორ შევძლებ ამას?! შეძლებისდაგვარად ვცდილობდი შემესრულებინა ელემენტარული ილეთი. კევეიმ არც აცია, არც

იმ დღიდან მოყოლებული არც ერთი ვარჯიში არ გამიცდენია. საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლე და ერთ მშვენიერ დღეს პირველ ნამდვილ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა.

... მეგობრები მილოცავენ. პანი ირენა გვამწკრივებს შეჯიბრების მონაწილეებს, მე კი თითით მანიშნებს — მწკრივს სათავეში ჩაუდექიო. პირველი ვარ!

ცოტა არ იყოს, დავიბენი და გავწითლდი კიდეც, როცა პოლონეთის ფარიკაობის კავშირის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ოტო ფინსკიმ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის ძვირფასი ჯილდო — ახალი ბელგიური რაპირა და საფარიკაო ხელთათმანი გადმომცა...

დიახ, იანოშ კევეიმ, იანჩი ბაჩიმ, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ეჟი და მისი მეგობრები, შეძლო დაენახა ჭაბუკ პავლოვსკიში მომავალი უდიადესი მოფარიკავე. „რკინის იანოშმა" კარგად იცოდა, რა ეშმაკის ფეხთანაც ჰქონდა საქმე (მისი სიტყვებია). და აი, პავლოვსკი გამოდის დიდ საერთაშორისო სარბიელზე. კევეი მას გაუხედნელი კვიცივით ავარჯიშებს.

უნგრელი იანჩი ბაჩი ზრდიდა დიად ხმლით მოფარიკავეს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს უნგრელთა, ესპანდრონში განუმეორებელი და დაუმარცხებელი ჯადოქრების ყველაზე მრისხანე მეტოქე გახდებოდა. დიახ, კევეიმ არ იცოდა, რომ 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაში პავლოვსკი დაამარცხებდა ყველას, მათ შორის, უნგრელებსაც, რომლებმაც 1924 წლის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, წაგება არ იცოდნენ. პავლოვსკი გაარღვევს წარმოუდგენლად რთულ „ალყას", რომელშიც იგი უნგრელებმა მოაქციეს.

ერთი წუთით დახედეთ ამ საგულისხმო ცხრილს და მიხვდებით, რა იშვიათ სპორტულ გმირობასთან გვაქვს საქმე. ლაპარაკია ოლიმპიური თამაშების პირად ტურნირში ხმლით ფარიკაობაში გამარჯვებულებზე. 1924 წ. პარიზი — პოშტა (უნგრეთი), 1928. ამსტერდამი — ტერსტიანსკი (უნგრეთი), 1932. ლოს-ანჯელესი — პილერი (უნგრეთი), 1936. ბერლინი — კაბოში (უნგრეთი), 1948. ლონდონი — გერევიჩი (უნგრეთი), 1952. ჰელსინკი — კოვაჩი (უნგრეთი), 1956.

მელბურნი — კარპატი (უნგრეთი), 1960. რომი — კარპატი (უნგრეთი), 1964, ტოკიო—პეჟა (უნგრეთი), 1968. მეხიკო — პავლოვსკი (პოლონეთი).

ხედავთ, რა მოხდა მეხიკოში! ძნელია გამონახო სპორტის ისეთი სახეობა, სადაც ტრადიცია ისე ძნელად ირღვეოდეს, როგორც ფარიკაობაში. ის რაც შეძლო მეხიკოში პავლოვსკიმ, 48 წლის განმავლობაში არავის გაუკეთებია, უნგრელთა გარდა.

ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. პავლოვსკის პირველად 1956 წელს გავეცანი. ეს იყო „დაუსწრებელი" ნაცნობობა. მახსოვს ჩემმა უფროსმა ძმამ, გოგიმ ერთხელ გაცრეცილი წიგნი მოიტანა. მაშინ პირველად ვნახე პავლოვსკის სურათი. სურათზე აღბეჭდილი იყო ვარჯიშის მომენტი. პავლოვსკი მწვანე მდელოზე ეს-ესაა მიწას მოსწყდარა და წინ გაშვერილი ესპადრონით პირდაპირ მწვრთნელისკენ მიფრინავს. სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „პავლოვსკი და მისი მწვრთნელი კევეი". ფარიკაობაში იმ დროისთვის უკვე ასე თუ ისე ჩახედული ვიყავი, მაგრამ სურათზე აღბეჭდილი ნახტომი ფოტორეპორტიორის ეშმაკობად მივიჩნიე — იმდენად დაუჯერებელი, ზღაპრული იყო.

1960 წელს ეს სურათი თითქოს გაცოცხლდა. დიახ, იმ წელიწადს საქართველოს მოფარიკავეები პოლონეთს ვესტუმრეთ. აი, მაშინ ვნახე „ნამდვილი" პავლოვსკი. მართალი გითხრათ, მის არა ერთ და ორ ბრძოლას ვუყურე, ვიდრე წიგნში ნანახ სურათზე გამოსახულ ილეთს შევამჩნევდი. მაგრამ, ღმერთმანი, როცა სურათი გაცოცხლდა, ეს იყო ზუსტი ასლი ოთხი წლის წინათ ნანახისა. ფოტორეპორტიორს რას ვერჩოდი, ცამდე მართალი ყოფილა ის კაცი. აღმოჩნდა, რომ ამ ცნობილ ილეთს პავლოვსკი თურმე ძალიან იშვიათად იყენებდა, მაშინ, როცა გაუჭირდებოდა. არ მახსოვს ვის ხვდებოდა იგი, მაგრამ ანგარიში საყაიმო იყო — 4:4 ბრძოლის ბედი ერთმა ჩხვლეტამ უნდა გადაწყვიტოს. ეს არის მოფარიკავეთა პაექრობის კულმინაციური წერტილი. ასეთ მომენტში მოფარიკავეები ხშირად თავიანთ ყველაზე საყვარელ ილეთებს მიმართავენ. რას იზამს პავლოვსკი? ეჟი და მისი მეტოქე ფრთხილად იწყებენ ფინალურ ნაწილს. ორივე შემპარავად ცდილობს მოძებნოს სუსტი ადგილი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს არაფერიც არ ხდება და მეტოქეები ადგილს ტკეპნიან. უცბად ორივე მოფარიკავე ჩერდება. პაუზა წამის სულ რამდენიმე მეათედს გრძელდება. მაგრამ ასეთი პაუზები ფარიკაობაში ძალიან შესამჩნევია. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩინარ ზამბარებს იატაკიდან მოეწყვიტა პავლოვსკი. იგი მიფრინავდა ჰაერში, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ მართლაც მიფრინავდა, როგორც ტაძრებში გამოსახული წმინდანები. ჰაერში მან ჰორიზონტალური მდგომარეობა მიიღო. თვალის დახამხამებაში თითქოს ერთმანეთს შეერწყა მოფარიკავის ტანი, გაწვდილი ხელი და ესპადრონი. მანძილი მეტოქის მკერდამდე ელვის სისწრაფით „მოისპო".

მეტოქემ შერხევაც კი ვერ მოასწრო. არა, მართლა რას ვერჩოდი იმ დალოცვილ ფოტორეპორტიორს.

პირველი, რაც პავლოვსკიში მომეწონა, იყო მისი დამოკიდებულება ბრძოლის პროცესთან. როცა ორთაბრძოლა კულმინაციას აღწევდა, ხოლო მისი მეტოქეები არაადამიანური დაძაბვის ხარჯზე ცდილობდნენ საჭირო ქულის მოპოვებას, პავლოვსკი აუღელვებელი და თითქმის მოშვებულიც კი ჩანდა. არავითარი დაძაბულობა, არა-

სუბიექტური აზრია: იქნებ ასეთი დამოკიდებულება იარაღის უზარმაზარმა პროგრესმაც განაპირობა, ანდა იქნებ ეს იმითაა გამოწვეული, რომ ოდესღაც სამკვდრო-სასიცოცხლო საფარიკაო დუელები თავისებურ სპორტულ ილუზიად იქცა. გვინდა სწორად გაგვიგონ: არავინ მოითხოვს სპორტის ეს სახეობა თავის შორეულ წინამორბედს დაემგვანოს. მაგრამ ერთი კია — სად დარტანიანის ეპოქა და სად თანამედროვე მოფარიკავეები, რომლებსაც მუშკეტერებს მხოლოდ პირობითად ვუწოდებთ.

მოდით, ნუ ავჩქარდებით და თანამედროვე ფარიკაობას ნაადრევ „განაჩენს" ნუ გამოვუტანთ. მართალია, თანამედროვე ფარიკაობამ „დაკარგა" ძველი ატრიბუტები — სისხლისმღვრელი დუელი, სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი, ბასრი მახვილი, მაგრამ, სამაგიეროდ, შეიძინა განუზომლად უფრო

ლდოებული, თავდადებული მონადირე, მეთევზე, ჟურნალისტი... პავლოვსკის ეს სავიზიტო ბარათი დაუსრულებლად შეგვეძლო გაგვეგრძელებინა, მაგრამ ჩვენ ერთი წუთით დაგვავიწყდა სკეპტიკოსები, რომლებიც „თხოულობენ" მის სპორტულ დოსიეს.

მაშ ასე, ეჟი პავლოვსკი, მსოფლიოს ჩვიდგზის ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიადის ტრიუმფატორი, მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, პოლონეთის ათგზის ჩემპიონი, ჰელსინკის, მელბურნის, რომის, ტოკიოს, მეხიკოს ოლიმპიადების მონაწილე...

ასეთი წარმატებისთვის მსოფლიოს არც ერთ მოფარიკავეს არ მიუღწევია, იგი აღიარებულია სამყაროს ყველა დროის № 1 მოფარიკავედ, პოლონეთის ყველა დროის სწორუპოვარ სპორტსმენად.

ასეთია ე. პავლოვსკი.

— უფრო ღონივრად! ეჰ, ეშმაკმა წაგიღოს!

(აცხელა და ისე დამიყვირა, რომ ფერმა ზანზარი დაიწყო:)

---

# „ფინანსური ნამების გზებით"

მიუნჰენში ოლიმპიელთა ტრადიციული აღლუმის მონაწილეთა შორის იქნება 24 წლის ინგლისელი ნიჩბოსანი ფრედ სმოლბოუნი. მისთვის მიუნჰენში მიმავალი გზა მარტო სპორტული ოსტატობის კიბეზე სვლა როდია. ეს გახლავთ უფრო პროზაული „ფინანსური წამების გზები".

ფრედი პროფესიით მბეჭდავია და ოლიმპიადის გამო იძულებული გახდა შვიდი კვირით მიეტოვებინა სამუშაო. მართალია, დიდი ხვეწნის შემდეგ მეპატრონე დათანხმდა მისთვის ადგილი შეენახა, მაგრამ გასამრჯელოს ერთი დღისასაც არ აძლევს. სმოლბოუნს არც ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციების იმედი უნდა ჰქონდეს: მათ ძალიან ცოტა ფული აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ კონსერვატორთა მთავრობის ასიგნობანი სპორტული მიზნებისთვის მისი სამხედრო ხარჯების ერთ პროცენტსაც არ შეადგენს.

და მაინც, ფრედმა გადაწყვიტა მიუნჰენში გამოსვლა. სხვა შემთხვევაში შეუპოვარი წვრთნის წლები წყალში გადაეყრებოდა. ნიჩბოსნობაში იგი 10 წლიდან ვარჯიშობს. 1968 წელს ოთხსავით ოთხადვილიანმა, რომლითაც სმოლბოუნიც გამოდიოდა, ჰენლიში ბრიტანეთის თასი მოიგო. 1970 წელს სმოლბოუნის ნავი კანადის მსოფლიო ჩემპიონატში მეათე იყო. ევროპის შარშანდელ პირველობაში VIII ადგილი დაიკავა. ადგილობრივ სპორტის სპეციალისტთა აზრით, ახლა მას საპრიზო ადგილის დიდი შანსი აქვს.

ჯერჯერობით სმოლბოუნს ხელში არაფერი უჭირავს, გარდა იმედისა და მოლოდინისა. შეუპოვარი წვრთნის გარდა მან სამუშაოს საკითხის მოგვარებისთვისაც უნდა იზრუნოს. ფრედს ურჩევნია დაკარგოს ძველი ადგილი, ვიდრე შვიდ კვირას უკაპიკოდ იჯდეს. ამ შემთხვევაში მას შეუძლია შრომის ბირჟაზე აიღოს აღრიცხვაზე და უმნიშვნელო დახმარება მაინც მიიღოს, როგორც უმუშევარმა.

მაგრამ მთავარი წინაა — მიუნჰენი. „ასეთი შემთხვევა ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება", — ამბობს ფრედი.

ვ. ნიკიტინი.
(საკდესის კორ.).
ლონდონი.

---

# ოლიმპიური რეკორდები

**მძლეოსნობა**

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების ადგილი | წელი |
|---|---|---|---|---|
| **ქალები** | | | | |
| რბენა | | | | |
| 100 მ | 11,0 | ვ. ტაიესი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 22,5 | ი. შევინსკა (პოლონეთი) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 52,0 | ბ. კატბერტი (ავსტრალია) | ტოკიო | 1964 |
| 800 მ | 2.00,9 | მ. მენინგი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 80 მ თარჯრბენი | 10,3 | მ. კეირდი (ავსტრალია) | მეხიკო | 1968 |
| 100 მ თარჯრბენი | | | | |
| ესტაფეტა 4×100 მ | 42,8 | აშშ (ბ. ფერელი, მ. ბეილსი, მ ნეტერი, ვ. ტაიესი) | მეხიკო | 1968 |
| სიგრძეზე ხტომა | 682 | ვ. ვისკოპოლეანუ (რუმინეთი) | მეხიკო | 1968 |
| სიმაღლეზე ხტომა | 190 | ი. ბალაში (რუმინეთი) | ტოკიო | 1964 |
| ბირთვი | 19,61 | მ. გუმელი (გდრ) | მეხიკო | 1968 |
| ბადრო | 58,28 | ლ. მანოლიუ (რუმინეთი) | მეხიკო | 1968 |
| შუბი | 64,40 | ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი) | ტოკიო | 1964 |
| ხუთჭიდი | 5246 | ი. პრესი (სსრ კავშირი) (10,7; 17,16; 163; 624; 24,7) | ტოკიო | 1964 |
| **ვაჟები** | | | | |
| 100 მ | 9,9 | ჯ. ჰაინსი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 200 მ | 19,8 | თ. სმითი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ | 43,8 | ლ. ევანსი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 800 მ | 1.44,3 | რ. დაუბელი (ავსტრალია) | მეხიკო | 1968 |
| 1500 მ | 3.34,9 | კ. კეინო (კენია) | მეხიკო | 1968 |
| 5000 მ | 13.39,6 | ვ. კუცი (სსრ კავშირი) | მელბურნი | 1956 |
| 10000 მ | 28.24,4 | უ. მილსი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| 110 მ თარჯრბენი | 13,3 | ვ. დავენპორტი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| | 13,3 | რ. ჰოლი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| 400 მ თარჯრბენი | 48,1 | დ. ჰემერი (ინგლისი) | მეხიკო | 1968 |
| 3000 მ წინაღობებით | 8 30,8 | გ. რულანტსი (ბელგია) | ტოკიო | 1964 |
| ესტაფეტა 4×100 მ | 38,2 | აშშ (ჩ. გრინი, მ. პენდერი, რ.-რ. სმითი, ჯ. ჰაინსი) | მეხიკო | 1968 |
| ესტაფეტა 4×400 მ | 2.56,1 | აშშ (ვ. მეტიუსი, რ. ფრიმენი-II, ლ. ჯეინსი, ლ. ევანსი) | მეხიკო | 1968 |
| სპორტული სიარული | | | | |
| 20 კმ | 1:29.34,0 | კ. მეტიუსი (ინგლისი) | ტოკიო | 1964 |
| 50 კმ | 4:11.12,4 | ა. პამიჩი (იტალია) | ტოკიო | 1964 |
| სიგრძეზე ხტომა | 890 | რ. ბიმონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| სიმაღლეზე ხტომა | 224 | რ. ფოსბიური (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| სამხტომი | 17,39 | ვ. სანეევი (სსრ კავშირი) | მეხიკო | 1968 |
| ჭოკით ხტომა | 540 | რ. სიგრენი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| | 540 | კ. შიპროვსკი (გფრ) | მეხიკო | 1968 |
| | 540 | ვ. ნორდვიგი (გდრ) | მეხიკო | 1968 |
| ბირთვი | 20,68 | რ. მათსონი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| ბადრო | 64,78 | ა. ორტერი (აშშ) | მეხიკო | 1968 |
| შუბი | 90,10 | ი. ლუსისი (სსრ კავშირი) | მეხიკო | 1968 |
| ურო | 73,36 | დ. ჟივოცკი (უნგრეთი) | მეხიკო | 1968 |
| ათჭიდი | 8193 | ბ. ტუმეი (აშშ) (10,4; 7,87; 13.75; 195; 45,6; 14,9; 43,68; 420; 62,80; 4.57,1) | მეხიკო | 1968 |

შენიშვნა: 100 მეტრზე თარჯრბენში რეკორდი წლეულს პირველად დაინუსხება.

...როტება, ყველაფერი სრუ- ...ალდაუტანებლად და უბრა- ...რც რიგითს საწვრთნელ მე- ...ე. ეს იყო დიდოსტატური ... იქნებ ეს სუსტი მეტო- ... გამოწვეული? მაშინ გი- ...დევ ერთ საგულისხმო ეპი- ...ვის 1966 წლის მსოფლიო ...დან.

...გამოვიდნენ რილსკი და ... ყველაზე დიდი მეტოქეები, ...ის უპირველესი მაძიებლე- ...სკი — მსოფლიო ფარიკა- ...ბა, რილსკი — არანაკლებ ...ფარიკავე, ფარიკაობის ტა- ...ტალონი, მსოფლიოს სამ- ...ონი. აი, ვინ ხვდებოდა ერ- ...ლის იმ დაუვიწყარ სა- ...ლოვსკიმ ეს პრინციპული ...იგო. მაგრამ მთავარი ამ ... ეს არ არის. რილსკი ...ჩნდა ერთობ „ჰაეროვან", ...ფარიკავედ. და აი, პავლო- ...შეხვედრის დროს იგი მო- ...დ „დამძიმდა". სად გაქრა ...ვერცხლე, ბრძოლის ძალდა- ... მანერა? ეს აშფოთებდათ ... მარტო მაყურებლებს, ფა- ...რიკავეებსაც კი. ჟურას უკაც- რავად, რილსკი აბსოლუტურად ისეთივე იყო, როგორც მუდამ. ოღონდაც პავლოვსკის საოცრად მსუბუქი, ლაღი და დაუძაბავი ბრძოლის ფონზე იგი ზანტიც კი ჩანდა.

და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ე. პავლოვსკი არა მარტო დიდი სპორტსმენია, არამედ უაღრესად დახვეწილი და მომხიბლავი პიროვნება. მით უფრო საინტერესოა ამ ანალიტიკური გონებით დაჯილდოებული ადამიანის დამოკიდებულება სპორტისადმი.

— მერწმუნეთ, არასოდეს გამოვკიდებივარ მქუხარე წოდებებს. პირველობის ანდა მედლის მოპოვება რომელიმე ჩემპიონატში არასოდეს ყოფილა ჩემთვის თვითმიზანი. ყველაფერი თავისით მოდის: უბრალოდ, გამოვდივარ საფარიკაო ბილიკზე და ვიბრძვი. ვინაიდან თვით ბრძოლის პროცესი მანიჭებს უდიდეს სიხარულსა და კმაყოფილებას, იგი ჩემთვის ხდება მშვენიერი თამაში, რომელიც არასოდეს მთავრდება. მე საშუალება მაქვს ჩავაქსოვო მასში მთელი ჩემი ძალა და უნარი, ჩემი ყველაზე სანუკვარი სურვილები.

აი, პავლოვსკის კიდევ ერთი საოცხოო თვისება: სპორტული ტვირთი მას მძიმედ არ აწევს მხრებზე. პირიქით, იგი მისთვის სიამოვნების უშრეტი წყაროა...

პავლოვსკისთვის სპორტს ოდნავაც არ შეუშლია ხელი საზოგადოებრივ ასპარეზზე თავის გამოჩენაში. აი, რას ამბობს იგი პიროვნული ინტელექტის კეთილისმყოფელ ზეგავლენაზე:

„მე მიმაჩნია, რომ თუკი არ ვისწავლიდი, ცოდნას არ შევიძენდი, ვერც ფარიკაობაში მივაღწევდი თვალსაჩინო პროგრესს. ვინ იცის, იქნებ სწორედ იურისპრუდენციამ, რომელზეც თავის დროზე შევაჩერე არჩევანი და ჩემი საყვარელი პროფესია გახლავთ, გამიწია დაუფასებელი დახმარება სპორტის იმ სახეობის დაუფლებაში, რომელიც სისწრაფეს, სიზუსტესა და პუნქტუალობას მოითხოვს".

რომელ სპორტსმენს უასპარეზია ექვსგზის ოლიმპიურ თამაშებში? ალბათ, არავის. პირველი იქნება ეგი პავლოვსკი. იგი კვლავინდებურად ითვლება მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეთა გვარდიის ღირსეულ კაპიტნად და ახლა მიუნჰენისთვის ლესავს ხმალს.

**ა. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**

# ...ეკორდების წვიმა 240 მეტრ სიმაღლეზე

...XIX ოლიმპიადის ჩატა- ...მექსიკას დაეკისრა. ...ობამ მსოფლიოს სპო- ...წრეებში არნახული ...თება გამოიწვია. პი- ... მექსიკის ან მისი ...ქალაქის წინააღმდეგი ... იყო, უკმაყოფილე- ...მიზეზი მეხიკოს უჩვე- ...მაღალი გეოგრაფიუ- ...მდებარეობა გახლდათ. ... მეტრის სიმაღლეზე ...ული ქალაქი, სხვა თუ ...ერო, სახიფათოა სპორ- ...ის ორგანიზმისთვის ...ლ ჟოვლისა ჟანგბადის ...ობის გამო. და აი, ...პიადისთვის მზადების ...ში წინა პლანზე გა- ... მედიცინა საკმაოდ ...ვნული და ერთმა- ...საპირისპირო დასკვ- ... დაიწყო დაუმთავრე- ...დავა, აზრთა გაცვლა- ...ვლა, კონსულტაციები. ...ის დედაქალაქში ერ- ...თ ენაცვლებოდნენ ... ...ასხვა ქვეყნიდან ჩასუ- ...ციალური კომისიები. ...თიანეთის პირობებში ...მის თავისებურება- ...წავლას მიეძღვნა სა- ...ავტორიტეტული კონ- ... და მხოლოდ მას ... რაც მეინიერები ... საკითხში შეთანხმ- ...მექსიკის ოლიმპიურ ...ებს შესაძლებლობა ... ლაღად გაეშალა ... და საქმეს შესდ- ...ოდა.

...ხიკოს ოლიმპიადა ...68 წლის 12-27 ოქტო- ...ი) თითქმის ყოველმხ- ...სარეკორდო გამოდგა. ...ერთ წინა ოლიმპიადას ...ეს ამდენი მონაწილე ...ნა და სტუმარი. ...ლი გამოდგა ჟანგბა- ...მარისობით გამოწ- ... შეშფოთებაც. ოლიმ- ... გამოირჩეოდა უმაღ- ...შედეგთა სტაბილურო- ...76 ოლიმპიური რეკო- ...მათ შორის, 28 მსოფ- ... უმაღლესი მიღწევა— ...ია XIX ოლიმპიადის ...ხიტო ბარათი, რომელ- ...ალბათ მსოფლიოს ნე- ...იერი დედაქალაქი მოა- ...ა ხელს.

...ხიკოს გეოგრაფიით ...აზე მეტად მძლეოსნები ...ენ შეშინებული. მაგ- ... როგორც თამაშების ...ლობამ ცხადყო, პრო- ...ის საფუძველი სწორედ ...არ ჰქონდათ. 27 ...მპიური რეკორდი, რო- ...ა შორის 14 უმაღლეს ...ლიო მიღწევას აღენა- ...და, გაუმჯობესდა ოლ- ...ური სტადიონის ტარ- ...სსაფარიან ბილიკებზე, ...ენისა და ხტომის სექ- ...ებში. რეკორდების ...ლში 23 შესწორება შე- იტანეს მოცურავეებმაც (6 რეკორდი ამავე დროს მსოფლიოს უმაღლესი მიღწევაც იყო), 18 — ძალოსნებმა (3), 5 — მსროლელებმა (2) და 3 — ველოსიპედისტებმა (3). ყველგან, სადაც კი რეკორდების რეგისტრაცია ხდება, ძველი შედეგები შეიცვალა უფრო მაღალი, ეპოქის შესაფერი მაჩვენებლებით და ეს იყო, თუ გნებავთ, ოლიმპიური მეხიკოს ერთ-ერთი მთავარი ღირსება.

ისევე როგორც უწინ, უფრო სწორად კი 1952 წლიდან მოყოლებული, გუ-



ნდური ბრძოლა ამერიკელ და საბჭოთა სპორტსმენებს შორის გაჩაღდა. ამჯერად ბედმა ამერიკელებს გაუღიმა, რომლებმაც დაიბრუნეს კარგა ხნის წინ დაკარგული პრიორიტეტი. ამერიკელებმა გაცილებით მეტი ქულა დააგროვეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (714—591,5-ის წინააღმდეგ), ამასთან, მედალიც მეტი მიიღეს (45 ოქროს, 28 ვერცხლის და 34 ბრინჯაოს მედალი ამერიკელებმა, 29 ოქროს, 32 ვერცხლისა და 30 ბრინჯაოს მედალი — საბჭოთა სპორტსმენებმა). საინტერესოა აღინიშნოს, რომ გამარჯვებულებმა ოლიმპიური ჯილდოების დიდი ნაწილი მძლეოსნობისა და ცურვის ხარჯზე მიიღეს (მათ შორის, 36 ოქროს მედალი), რამაც საბოლოო ჯამში 517 ქულა შეადგინა ანუ მთელი მარაგის დაახლოებით ორ მესამედზე მეტი.

პროგრამის მთელ რიგ სახეობებში თავი გამოიჩინეს სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადა მაინც და, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად, შავი ფერის სპორტსმენთა ტრიუმფით აღინიშნა. ფერადკანიანთა ასეთი წარმატება არც ერთ წინა ოლიმპიურ თამაშებს არ ახსოვს. სამაგალითოდ შეიძლება აფრიკის სამი ქვეყნის — კენიის, ტუნისისა და ეთიოპიის დასახელება. წინათ ისინი მსოფლიო სპორტში არაფრით გამოირჩეოდნენ და, ცხადია, წარმატებასაც იშვიათად აღწევდნენ, ისიც ცალკეულ სპორტსმენთა ხარჯზე. მეხიკოში კი წარმატება მასობრივი იყო. ოლიმპიადების ისტორიაში პირველად ორივე სტაიერულ დისტანციაზე ყველა მედალი ფერადკანიანთა კუთვნილება გახდა. სამმა დასახელებულმა ქვეყანამ თავის მძლეოსანთა მაღალი ოსტატობა 5 ოქროს მედლით აღნიშნა. ეს არ იყო შემთხვევითი წარმატება და ნაბოძები წყალობა. უბრალოდ, აფრიკის განთავისუფლებულ ქვეყნებში სპორტმა გიგანტური ნახტომი გააკეთა და ამ ნახტომის სიგრძემ ისინი ამა ქვეყნის ძლიერებს გაუთანაბრა.

ვინ იყო ყველაზე პოპულარული სპორტსმენი მეხიკოში? ამ შეკითხვას ორგვარი პასუხი შეიძლება გავცეთ. თუ პოპულარობის საზომად საკმარისია ხალხის აღიარება და სიყვარული, აქ, რა თქმა უნდა, მეტოქე არ ჰყავდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონას ნატაშა კუჩინსკაიას. მექსიკელთა პატარძალი (ასე უწოდებდნენ მას ჟურნალისტები) მართლაც ყველაზე გამოჩენილი სპორტსმენი იყო ოლიმპიელთა ექვსათასიან არმიაში. ჩვენი ნება რომ იყოს, ქვეყნის ყველა ოქროს ნატაშას გადავცემდითო, — ხუმრობდნენ მექსიკელები და ამ ხუმრობით ცქრიალა გოგონასადმი ჭეშმარიტ სიყვარულს ამჟღავნებდნენ.

სამწუხაროდ, მექსიკის პატარძალს სწორედ იქ უმტყუნა ბედმა, სადაც ყველაზე მეტად ელოდნენ მის ტრიუმფს. მრავალჭიდში ნატაშამ მხოლოდ ბრინჯაოს ჯილდო მიიღო. ამავე ხარისხის მედალი გადაეცა მას თავისუფალი ვარჯიშისათვის და მხოლოდ ერთხელ, ძელზე შეჯიბრების შემდეგ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მეხიკომ გაცილებით მეტი გაიმეტა მისთვის, მაგრამ სპორტში, სამწუხაროდ, იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს გულშემატკივრებისა და მსაჯების აზრი.

მაშ ასე, პოპულარობა კუჩინსკაიას, ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირის სახელი კი ფენომენალურმა ზანგმა რობერტ ბიმონმა მიიღო. ამისთვის ამერიკელ მძლეოსანს „ესტადიო უნივერსიტარიოს" სტადიონზე ერთადერთი ნახტომი დასჭირდა. ბიმონი შურდულივით გადაევლო სახტომ სექტორს მთელს სიგრძეზე და მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ ალამზე შორს დახტა. როცა მსაჯებმა მეათედ გადაზომეს მანძილი, ხოლო დიქტორმა გამოაცხადა ბიმონის გვარი, ყველა მიხვდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ოლიმპიურ სტადიონზე დაუჯერებელი რამ მოხდა. დიახ, ეს მართლაც ზღაპრული შედეგი იყო: ადამიანმა სიგრძეზე ხტომაში 890 სანტიმეტრი დაძლია. ამ შედეგს საყოველთაო აღიარებით ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება უწერია. ცხადია, იმ დღეს ვერც ერთი სულიერი ვერ შეეცილებოდა ბიმონს ოლიმპიადის გმირის სახელს.

• • •

**სურათზე:** რ. ბიმონის სარეკორდო ნახტომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

მოგვყავს შედეგები I ლიგის გუნდების განვლილი ტურისა, რომელიც 19 აგვისტოს შედგა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 2:1, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 3:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „დინამო" (ლენინგრადი) 0:2, „პამირი" (დუშანბე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:0, „ალგა" (ფრუნზე) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი)—„ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 25 | 17 | 5 | 3 | 45—16 | 39 |
| „ჩერნომორ." | 24 | 13 | 7 | 4 | 45—22 | 33 |
| „ზვეზდა" | 25 | 11 | 8 | 6 | 29—25 | 30 |
| „შახტ." (დ). | 24 | 9 | 11 | 4 | 29—13 | 29 |
| „შინიკი" | 24 | 11 | 7 | 6 | 25—19 | 29 |
| „ტორპედო" | 24 | 12 | 4 | 8 | 33—19 | 28 |
| „პამირი" | 25 | 9 | 9 | 7 | 32—33 | 27 |
| „სპარტაკი" | 24 | 9 | 8 | 7 | 28—26 | 26 |
| „ალგა" | 25 | 7 | 11 | 7 | 26—19 | 25 |
| „კრ. სოვეტ." | 25 | 5 | 15 | 5 | 21—24 | 25 |
| „მეტალისტ." | 24 | 7 | 9 | 8 | 24—25 | 23 |
| „შახტ." (უ.) | 25 | 7 | 9 | 9 | 26—31 | 23 |
| „ავტომობ." | 24 | 6 | 10 | 8 | 19—25 | 22 |
| „ნისტრუ" | 24 | 7 | 7 | 10 | 26—27 | 21 |
| „სტროიტ." | 25 | 7 | 7 | 11 | 24—40 | 21 |
| „ტექსტილ." | 24 | 6 | 8 | 10 | 22—35 | 20 |
| „დინამო" | 24 | 5 | 9 | 10 | 18—30 | 19 |
| „მეტალურ." | 24 | 6 | 6 | 12 | 29—33 | 18 |
| „კრივბასი" | 24 | 4 | 8 | 12 | 29—46 | 16 |
| „ურალმაში" | 25 | 3 | 8 | 14 | 19—41 | 14 |

## II ლიგა III ზონა

21 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ.

### ბათუმი

ადგილობრივ დინამოელთა მეტოქე ამ დღეს ბრიანსკის თანაკლუბელთა გუნდი იყო. მასპინძლებმა აქტიურად, ხშირი იერიშებით დაიწყეს თამაში და უკვე პირველი 10 წუთის მანძილზე არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან. ბურთის გატანის შესაძლებლობანი ჰქონდათ თავდამსხმელებსაც და ნახევარმცველებსაც, მაგრამ წარმატების მოპოვება გუნდმა შეძლო მხოლოდ 34-ე წუთზე: ესებუას სწრაფი გარღვევა დამთავრდა ზუსტი გადაცემით ცენტრში, სადაც დროზე აღმოჩნდა ქიქავა — 1:0. აღსანიშნავია, რომ ეს ქიქავას მე-15 გოლია წლევანდელ გათამაშებაში.

წარმატებას განმტკიცება ესაჭიროებოდა. საამისო საშუალება ზედიზედ ორჯერ შექმნა ჩხარტიშვილს, ვეტერანმა კი ვერ შეძლო მათი გამოყენება. ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა მიზანს კვიტაიშვილმაც.

შესვენების შემდეგ ბათუმელმა ფეხბურთელებმა რატომღაც მოუკლეს ტემპს და ინიციატივა ბრიანსკელებს გადააბარეს, რომლებმაც არ დააყოვნეს ესარგებლათ ამით. 65-ე წუთზე კომბინაცია ხრაპოვი — შტაპოვი დამთავრდა საპასუხო გოლით — 1:1.

ბათუმელებს საკმარისზე მეტი დრო და შესაძლებლობაც ჰქონდათ, რათა კვლავ დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ეს. ამასთან, ძლიერად ითამაშეს სტუმრების დაცვამ და მეკარე ლაიკოვმა.

**ო. მურვანიძე.**

### გორი

მიუხედავად იმისა, რომ გორის „დილას" და მის მეტოქეს — ბელაია კალიტვას „კალიტვას" განსხვავებული ადგილები უჭირავთ გათამაშების ცხრილში, მათი ბრძოლა შეუპოვარი და დაძაბული იყო.

გორელები თავიდანვე უფრო სწრაფად, ენერგიულად და ტექნიკურად თამაშობდნენ. მათ დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და უკვე მე-13 წუთზე სტუმრებს ცენტრიდან მოუხდათ თამაშის დაწყება. „კალიტვას" კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. კოპიაშვილის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა კედელს, იქიდან — მელაძეს. ეს უკანასკნელი მცველებს გაექცა და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში არაერთხელ ჰქონდათ ხელსაყრელი მდგომარეობა, გორელები ამ გოლს დასჯერდნენ, ვინაიდან თავდამსხმელები ზედმეტად ერთობოდნენ ბურთის ტარებით და იშვიათად ურტყამდნენ კარში. ამის გამო სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ განეხორციელებინათ რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა და მეკარე ტატაევს, რომელმაც შეცვალა დაშავებული ბერიძე, რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა.

**გ. გოზალიშვილი.**

### რუსთავი

ადგილობრივი „მეტალურგის" წინააღმდეგ თამაშობდა ზონის ერთპიროვნული ლიდერი — კრასნოდარის „ყუბანი".

რუსთაველმა ფეხბურთელებმა ამ ძნელ მატჩში ცხადყვეს, რომ ჯერ კიდევ შესწევთ ძალა გამოასწორონ თამაში და ერთობ არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობაც. ლიდერის წინააღმდეგ ისინი მოქმედებდნენ აქტიურად, კომბინაციურად და გამარჯვების შესაძლებლობაც ჰქონდათ.

დაიწყო თამაში და ალადაშვილი — კონიაშვილის კომბინაცია გაჭირვებით მოიგერიეს „ყუბანის" მცველებმა. წალე მეკარემ მიუსწრო ბერულავას გარღვევას, შემდეგ კონიაშვილი პირისპირ დარჩა სტუმრების კართან, მაგრამ ეს შესაძლებლობაც გამოუყენებელი დარჩა. მეტალურგები მთელი ტაიმის განმავლობაში უტევდნენ მეტოქეს, ხოლო მათს კართან მხოლოდ ერთხელ შეიქმნა სახიფათო მომენტი, როცა თავი გამოიჩინა მეკარე ტიტელაშვილმა.

მდგომარეობა გათანაბრდა მეორე ტაიმში. მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და საბოლოოდ ბრძოლა დამთავრდა ისე, რომ წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

**რ. გაბრიჩიძე.**

ასე დამთავრდა: „დინამო" (სოხუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 1:1, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 0:2, „სალუტი" (ბელგოროდი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 2:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „ზვეზდა" (ტირასპოლი) 1:0.

## მეზობლების შეხვედრა

კახის რაიონის ცენტრალურ სტადიონზე ამ დღეებში გაიმართა ამხანაგური მატჩი: ადგილობრივმა ფეხბურთელებმა მასპინძლობა გაუწიეს წითელწყაროელ სტუმრებს.

საინტერესო, დაძაბული ბრძოლა კახის გუნდმა მოიგო ანგარიშით 3:2.

**ვ. ოქროჯანაშვილი.**
სოფ. კახი,
აზერბაიჯანის სსრ.

### ზუგდიდი

დამთავრდა „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. წარმატებას მიაღწიეს საქვაჭრობის განყოფილების წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაუმარცხებლად ჩაატარეს შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა ქალაქის თასიც მოიპოვა.

**ა. ფიფია.**

# საჭადრაკო მანქანების ტურნირი

ბოსტონი, 21 აგვისტო. ამერიკის ამ ქალაქში საინტერესო საჭადრაკო შეჯიბრება მოეწყო: რამდენიმე დღეს გაგრძელდა აშშ-ს პირველობა კომპიუტერებს შორის. მესამედ ჩატარებულ ამ უჩვეულო ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ცხრა მანქანამ, რომლებიც ამერიკის უნივერსიტეტების მოჭადრაკეებმა გააკეთეს. „გამარჯვა" ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის კომპიუტერმა.

ჩემპიონატის „შემოქმედებით" შედეგებს მოჭადრაკეთაგან მაინცდამაინც დიდი შეფასება არ მიუღია. სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ელექტრული მოჭადრაკეების ოსტატობის დონე საგრძნობლად ჩამოუვარდება საშუალო კვალიფიკაციის ოსტატთა თამაშის კლასს.

საჭადრაკო მანქანებს მეტოქის „საუკეთესო სვლაზე" აქვთ ორიენტაცია აღებული და იმპროვიზაციის უნარი სრულიად არ გააჩნიათ. კომპიუტერთა „თამაშისთვის" დამახასიათებელია სტრატეგიული ჩანაფიქრის სისუსტე, სრული უმწეობა ენდშპილში. ისინი ხშირად უშვებდნენ შეცდომებს ძალიან მარტივ პოზიციებში. კომპიუტერთა ძლიერი მხარეა ვარიანტების შედარებით სწრაფი გამოთვლა. ცაიტნოტი ელექტრული „მოჭადრაკეებისთვის" იშვიათი მოვლენაა, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ჩიკაგოს კომპიუტერის მეტოქემ — პიტსბურგის საჭადრაკო მანქანამ დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

თავად კომპიუტერებს ყველაზე ნაკლებ მიუძღვით ბრალი ამ ნაკლოვანებებში, რამდენადაც, როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, მათი შემქმნელების საჭადრაკო კვალიფიკაცია დიდოსტატთა თამაშის თანამედროვე კლასს არ შეეფერება.

შეჯიბრების მონაწილეთაგან, როგორც ირონიულად აღნიშნავენ მოჭადრაკეები, არავინ განაწყენებულა მაყურებელთა ცუდი მოქცევით, არ შემოსულა არც ერთი პროტესტი სატელევიზიო კამერების ხმაურის, დარბაზში ცუდი განათებისა და საჭადრაკო დაფების შეუფერებელი ზომების გამო.

ნ. სეტუნსკი.

(საკდესის კორ.).

# სიცილიის ცის ქვეშ

2 აგვისტოს სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი მიუნხენის ოლიმპიადის წინ ბოლო საკონტროლო თამაშების ჩასატარებლად იტალიას გაფრინდა. სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ი. ოზეროვი (ხელმძღვანელი), უფროსი მწვრთნელი ვ. კონდრაშინი, მწვრთნელი ს. ბაშკინი, ექიმი ა. აბლოვი და მოთამაშეები მ. პაულაუსკასი, ს. ბელოვი, ზ. საკანდელიძე, მ. ქორქია, ა. ბელოვი, ა. ჟარმუხამედოვი, გ. ვოლნოვი, ი. დვორნი, ა. კრიკუნი, ი. ედეშკო, ვ. არზამასკოვი, ა. ბოლოშევი.

სამ საათს ფრენის შემდეგ რომში ჩავედით, სადაც შეგვხვდნენ იტალიის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები. რომში ვისადილეთ და საღამოს 5 საათზე სიცილიის ქალაქ მესინაში გავფრინდით. აქ უნდა გამართულიყო პირველი ტურნირი. მესინა ზღვისპირა სააგარაკო ქალაქია, სადაც ძალიან უყვართ კალათბურთი. სხვათა შორის, იტალიის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ჯ. პრიმო აქაურია. ზღვისპირა კომფორტულ სასტუმრო „რივერაში" დაგვაბინავეს.

ტურნირში ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ იტალიის ოლიმპიური ნაკრები, ჩეხოსლოვაკიის მეორე ნაკრები და ფილადელფიის სენტ-ჯოზეფის კოლეჯის გუნდი. თამაშები ღია ცის ქვეშ ტარდებოდა ქალაქის მუნიციპალიტეტის მოედანზე და დიდი სიცხის გამო გვიან საღამოს იწყებოდა. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ ყველა მონაწილე დაასაჩუქრეს და მოედანზე სათამაშოდ დავრჩით ჩვენ და ამერიკელები. თამაშს ესწრებოდა 4 ათასამდე გულშემატკივარი, მატჩზე დასწრების მსურველა კი გაცილებით მეტი იყო.

საბჭოთა გუნდმა მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: პაულაუსკასი, ბელოვები, ჟარმუხამედოვი, ქორქია. თამაშის პირობები გართულებული იყო. დღისით აუტანელი სიცხის გამო რამდენიმე წუთს თამაშის შემდეგ კალათბურთელები თავით ფეხამდე სველი იყვნენ, რაც ძალიან მოქმედებდა საერთოდ თამაშზე, განსაკუთრებით კი კალათში სროლის სიზუსტეზე. ამერიკელმა სტუდენტებმა კარგად ითამაშეს თავდასხმაში, მაგრამ დაცვაში ვერაფერი გააწყვეს ჩვენების სწრაფი და მძლავრი იერიშების წინააღმდეგ. ბრწყინვალედ ითამაშეს ქორქიამ და საკანდელიძემ, რომლებმაც მაყურებელთა დიდი ტაში დაიმსახურეს მეტოქის ფარზე რამდენიმე სწრაფი რეიდის გამო. საბჭოთა გუნდმა შეხვედრა მოიგო — 72:49.

მეორე მატჩში იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის ვიმსაჯეთ რუმინელმა ს. ნეგულესკუმ და ამ სტრიქონების ავტორმა. შეხვედრა ძალიან დაძაბულად ჩატარდა და იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა — 58:46. პირველი წუთიდან დაწყებული და მსაჯის საფინალო სასტვენამდე ტრიბუნები გუგუნებდა. ძალიან კარგად მიიღეს საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაგან ბევრს გვარებითაც იცნობდნენ.

მეორე დღეს საბჭოთა ნაკრები ჩეხოსლოვაკიის გუნდს შეხვდა. თამაში ჩვენების აშკარა უპირატესობით ჩატარდა — 81:57. დაძაბული იყო იტალიელებისა და ამერიკელების მატჩი. იტალიელებმა მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს გამარჯვება — 68:59.

მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო იტალიელებისა და საბჭოთა კალათბურთელების შეხვედრა, რომელსაც გამარჯვების ბედი უნდა გადაეწყვიტა. პირველი ტაიმი ძალიან დაძაბულად წარიმართა. ცეცხლზე ნავთი დაასხა ერთ-ერთი არბიტრის ნეგულესკუს უზუსტო მსაჯობამ. ნეგულესკუ აშკარად თვალს ხუჭავდა იტალიელთა უხეშ თამაშზე. შესვენების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა შეძლეს გაეტეხათ იტალიელთა წინააღმდეგობა და წარმატებასაც მიაღწიეს — 79:56. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან დვორნი და ქორქია.

III ადგილისთვის ბრძოლა ამერიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის ძალიან დაძაბულად წარიმართა. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებით ხუთ წუთში ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა შეძლეს გამარჯვება — 76:75.

თამაშის შემდეგ დაჯილდოების ცერემონია მოეწყო. საბჭოთა ნაკრების კაპიტანს მ. პაულაუსკასს 25-ე ტრადიციულ ტურნირში გამარჯვებისთვის თასთან ერთად გადაეცა პრიზი, როგორც შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშეს.

6 აგვისტოს ყველა გუნდი, გარდა იტალიელებისა, ქალაქ კატანიაში გაემგზავრა, სადაც მათ შეუერთდა ნეაპოლის „პანტანოპე". ამ კოლექტივში ჩვენ ვიხილეთ ძველი ნაცნობები კლუბ „ფიდესიდან" — ამერიკელი ძმები აიკინი და ვილიამსი, რომლებსაც ქართველი გულშემატკივრები თბილისში გამოსვლებით იცნობენ. კატანიაში აიკინი მწვრთნელის როლში ვიხილეთ.

პირველ დღეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს შევხვდით. საბჭოთა კალათბურთელებმა მრავალფეროვანი თამაშით უკვე პირველ ტაიმშივე ყოველგვარი იმედი გადაუწურეს მეტოქეებს. გავიმარჯვეთ — 93:60.

მეორე მატჩში ამერიკელთა და იტალიელთა შორის გაიმარჯვეს იტალიელებმა. ქულათა უმეტესობა გუნდს შესძინა ზანგმა ვილიამსმა.

მეორე დღეს ჩვენ „პანტანოპეს" შევხვდით. საბჭოთა სპორტსმენებმა საიმედოდ ჩაკეტეს ვილიამსი და გაიმარჯვეს კიდეც — 111:68. მეორე მატჩში ამერიკელებმა რევანში აიღეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან შეხვედრაში — 80:68.

შეჯიბრების ბოლო დღეს საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ამერიკელები (83:53) და I ადგილი დაიკავეს ტურნირში. მოულოდნელი შედეგით აღინიშნა იტალიელების შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან: მასპინძლები დამარცხდნენ — 60:65. II ადგილი ამერიკელებს დარჩათ, III — იტალიელებს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ს. ბელოვი აღიარეს.

10 აგვისტოს რომში გავფრინდით, სადაც ოლიმპიურ სოფელში მოვეწყვეთ. მთელი დღე იტალიის დედაქალაქის შესანიშნავ ძეგლებს ვათვალიერებდით. 11 აგვისტოს დილით კი სამშობლოში გამოვემართეთ.

იტალიაში თამაშები საბჭოთა კალათბურთელებისთვის ბოლო გენერალური რეპეტიცია იყო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ ამ შეჯიბრებამ საბოლოოდ დაადგინა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა. მასში ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია.

რ. ხომერიკი,

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი კალათბურთში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.






ცნობილმა ჩოგბურთელმა ბილი-ჯინ კინგმა (აშშ) 1971 წელს რამდენიმე საერთაშორისო ასპარეზობაში ითამაშა და გასამრჯელოდ 100 ათას დოლარამდე მიიღო. უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის წინ მან განაცხადა: „ჩოგბურთი ჩემი ცხოვრებაა. კორტზე არასოდეს ვიღლები, მაგრამ ზოგჯერ ძალიან მიჭირს. მაგალითად, გულაგონგთან ფინალური შეხვედრა ალბათ უძნელესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ვნატრობდი მომეგო ეს ასპარეზობა უიმბლდონში.

ამ სურათზე იგი თითქოს ღმერთს ევედრება ეს თამაშიც მომაგებინეო...

როგორც ვიცით, ბილი-ჯინ კინგმა ოცნება შეისრულა — უიმბლდონის ჩემპიონი გახდა.



თხუთმეტმა შეფილდელმა (დიდი ბრიტანეთი) კარატისტმა დაამტკიცა, რომ ადამიანი ბულდოზერზე სუსტი არ არის. იორკშირის საგრაფოს ქალაქ ბრედფორდში ზემოხსენებულმა კარატისტებმა რამდენიმე საათის განმავლობაში ხელების, ფეხებისა და თავების გამოყენებით პირდაპირ ბდღვირი აადინეს საკმაოდ რთულ „ობიექტს" — დაშალეს 150 წლის ქვითკირის შენობა.

# ჩემპიონის მშობლიურ სოფელში

უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა ქარელის რაიონის პატარა სოფელ ბერძენაულში, სადაც დილიდანვე იყრიდნენ თავს ქართული ჭიდაობის მოყვარულნი. აქ, სსრ კავშირისა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონის, გამოჩენილი ქართველი სამბისტის დურმიშხან ბერუაშვილის მშობლიურ სოფელში, მისი სახელობის ტურნირი მიმდინარეობდა. შეჯიბრებაში ძალღონეს სცდიდა ქარელის, გორის, ხაშურის, კასპის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების 112 წარმომადგენელი.

შესანიშნავად იჭიდავეს კასპელმა გ. ლაფერაშვილმა, ხაშურელმა ო. ტეფნაძემ, ქარელელებმა ს. ჯინორიძემ, მ. კვინიკაძემ, გ. მჭედლიძემ, გ. მამაგულაშვილმა, ი. ტლაშაძემ...

დ. ბერუაშვილის სახელობის თასი ხვდა ზემოხანდაკელ მოჭიდავეს, სპორტის ოსტატ გ. ლაფერაშვილს. სამახსოვრო მედლები გადაეცათ ო. ტეფნაძესა და ს. ჯინორიძეს.

დ. მურმანიშვილი.

სოფ. ბერძენაული,
ქარელის რაიონი.

## რაიონებიდან ცნობები

### წყალტუბო

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა „სპარტაკის" რაიონული საბჭოს პირველობა ფეხბურთში. გარდამავალი თასის მფლობელი გახდა საქკურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილების გუნდი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ქიმიური ქარხნის გუნდები.

ვ. ფაილოძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




26 აგვისტოს

მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე და ამავე სპორტსაზოგადოების საცურაო აუზზე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი აწყობს მასობრივ შეჯიბრებას „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04585